საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

ქ. ბათუმი **27 ოქტომბერი, 2017 წ**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №4 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) გადაწყვეტილების დანართი 1-ის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი“;

გ) წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ეს წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის (შემდეგში ,,ბსუ“) სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის პროცედურებს.“;

დ) წესში ნაცვლად სიტყვისა ,,რსუ“ მიეთითოს ,,ბსუ“;

ე) წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა. ფაკულტეტზე ერთზე მეტი სახელობითი სტიპენდიის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს ცალკეულად, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის, თუ რომელი სტიპენდიის მოსაპოვებლად შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე, განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 7 (შვიდი) დღით ადრე“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**